სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

14726976883715

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერის გადაწყვეტილება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N151129893

რეგისტრაციის თარიღი

13.10.2015 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" აქციონერის, საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკ ვეტებეს" გადაწყვეტილება № 1

2015 წლის 13 ოქტომბერს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" (საიდენტიფიკაციო ნომერი 202906427) კაპიტალში აქციათა 96.808396 %–ის მფლობელმა აქციონერმა – საჯარო სააქციო საზოგადოებამ „ბანკ ვეტებემ" (იურიდიული მისამართი: 190000 ქალაქი სანქტ–პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაიას ქუჩა, სახლი 29, გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი: 7702070139) – წარმომადგენელი დმიტრი ოლეგის ძე სმირნოვის (დაბადებული 05.07.1980 წელს) მიერ, მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგის შემდეგ საკითხებზე:

დღის წესრიგი:

1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" კაპიტალის გაზრდა დამატებითი აქციების გამოშვების გზით.

   დადგენილება:

1.1 სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" კაპიტალის გაზრდის მიზნით განხორციელდეს 20 000 000 (ოცი მილიონი) დამატებითი ჩვეულებრივი აქციის გამოშვება, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული ემისიის პროსპექტის საფუძველზე, ნომინალური ღირებულებით – თითოეული 1 (ერთი) ლარი.

1.2 დაევალოს ბანკის დირექტორატს წინამდებარე გადაწყვეტილებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში მოამზადოს ემისიის პროსპექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

1.3 დამატებით გამოშვებული ბანკის აქციების ნომინალური ღირებულებით უპირატესი შესყიდვის უფლება მიენიჭოს ბანკის აქციონერებს ემისიის პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის მათ საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად.

1.4 დადგინდეს ვადა ბანკის აქციონერების მიერ ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოსაყენებლად 10 (ათი) კალენდარული დღე ემისიის პროსპექტის გამოქვეყნების დღიდან. დამტკიცებული ემისიის პროსპექტი გამოქვეყნებულ (განთავსებულ) იქნას სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" საიტზე (www.vtb.ge) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

1.5 ბანკის აქციონერების მიერ ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების განსახორციელებლად ანუ, კაპიტალში შესაბამისი შენატანების განსახორციელებლად ბანკის დირექტორატს, ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, უფლებამოსილება მიენიჭოს:

1.5.1 ბანკის კაპიტალის 1%–ზე მეტის მფლობელ აქციონერებს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება ემისიის პროსპექტის დამტკიცების შესახებ. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს: ცნობებს ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობის, აქციონერის წილის ოდენობის, დამატებით გამოშვებული ბანკის აქციების აქციონერის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების ვადის დასრულების თარიღის შესახებ, შეთავაზებას დამატებით გამოშვებული აქციების საფასურის გადახდის შესახებ აქციონერის წილის პროპორციულად ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, რეკვიზიტებს ამგვარი გადახდის განსახორციელებლად, ინფორმაციას თუ როგორ შეუძლიათ აქციონერებს ემისიის პროსპექტის გაცნობა, აგრეთვე მისამართს, სადაც შესაძლებელი იქნება მისი გაცნობა.

1.5.2 გამოაქვეყნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" განცხადება, რომელიც შეიცავს ცნობებს ემისიის პროსპექტის დამტკიცების, ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობის, დამატებით გამოშვებული ბანკის აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების აქციონერის მიერ გამოყენების ვადის დასრულების თარიღის შესახებ, შეთავაზებას დამატებით გამოშვებული აქციების საფასურის გადახდის შესახებ აქციონერის წილის პროპორციულად ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, რეკვიზიტებს ამგვარი გადახდის განსახორციელებლად, ინფორმაციას თუ როგორ შეუძლიათ აქციონერებს ემისიის პროსპექტის გაცნობა, აგრეთვე მისამართს, სადაც შესაძლებელი იქნება მისი გაცნობა.

1.6 დადგინდეს ბანკის აქციონერებისთვის განსათავსებელი აქციების ღირებულების გადახდის შემდეგი ფორმა: აქციათა ღირებულების გადახდა ხორციელდება ეროვნული ვალუტაში, ლარში, ფულადი სახსრების უნაღდო ანგარიშსწორებით გადარიცხვის გზით, შემდეგ რეკვიზიტებზე: JSC VTB Bank (Georgia) SWIFT: UGEBGE22 IBAN: GE17VT0100000009444501.

1.7 თუ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე აქციონერების მიერ არ განხორციელდება კაპიტალში შენატანების განხორციელება, ჩაითვლება, რომ ისინი ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე უარს აცხადებენ. განუთავსებელი აქციების (შემდგომ–დარჩენილი აქციები) შეძენის უფლება მათი ნომინალური ღირებულებით ენიჭებათ ბანკის აქციონერებს, რომელთაც ემისიის

პროსპექტის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელეს შენატანის შეტანა ბანკის კაპიტალში (შემდგომ – ,,დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია").

ბანკის აქციონერებს, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია, უფლება აქვთ სრულად შეიძინონ დარჩენილი აქციები ბანკის კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების რაოდენობის პროპორციულად ბანკის იმ აქციონერების აქციების გათვალისწინების გარეშე, რომელთაც უარი განაცხადეს დამატებით გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე.

იმ შემთხვევაში თუკი აქციონერი, რომელმაც დადგენილ ვადაში განახორციელა უპირატესი უფლების რეალიზაცია გამოხატავს ნებას შეიძინოს დარჩენილი აქციები უფრო ნაკლები რაოდენობით ვიდრე მას ეკუთვნის დარჩენილი აქციების საერთო რაოდენობაში, მეტი რაოდენობის აქციის შეძენის უფლება მიენიჭება იმ აქციონერებს, რომელთაც გამოხატეს დარჩენილი აქციების შეძენის სურვილი.

თუკი აქციონერთაგან, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია, ყველამ გარდა ერთისა არ გამოხატა ნება დარჩენილი აქციების შეძენაზე, მაშინ ყველა დარჩენილი აქციების შეძენის უფლება აქვს იმ აქციონერს, რომელმაც გამოხატა სურვილი დარჩენილი აქციების შეძენაზე.

1.8 უფლებამოსილება მიენიჭოს ბანკის დირექტორატს აქციონერების მიერ ბანკის დამატებით გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებისათვის დადგენილი ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, გაუგზავნოს წერილობითი წინადადება ბანკის აქციონერებს, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია, ბანკის დარჩენილი აქციების შეძენაში მონაწილეობის მიღების შესახებ, ბანკის დარჩენილი აქციების რაოდენობის და მათი შეძენის ვადის მითითებით.

1.9 განაცხადები ბანკის აქციონერებისგან, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და ბანკის კაპიტალში განახორციელეს შენატანი, შეიძლება წარდგენილ იქნეს ბანკში ფოსტის, კურიერის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის საშუალებით ბანკის მიერ დარჩენილი აქციების შეძენაზე წერილობითი წინადადების გაგზავნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში (არა უგვიანეს აღნიშნული ვადის ბოლო დღის 18:00 სთ. თბილისის დროით).

1.10 ბანკის დირექტორატი დარჩენილი აქციების შეძენის შესახებ განაცხადების წარდგენის დადგენილი ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის

განმავლობაში აჯამებს მიღებული განაცხადების შედეგებს და ბანკის აქციონერებს, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და ბანკში წარადგინეს განაცხადები დარჩენილი აქციების შეძენის თაობაზე, უგზავნის შეტყობინებას იმ აქციების რაოდენობის მითითებით, რომლებიც შესაძლებელია რეალიზებული იქნეს ამგვარი აქციონერებზე. ბანკის დირექტორატი აქციონერებს შეტყობინებას უგზავნის ფოსტის, კურიერის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის საშუალებით.

1.11 ბანკის იმ აქციონერებს, რომელთაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და გამოთქვეს სურვილი ბანკის დარჩენილი აქციების შეძენაზე, უფლება აქვთ განახორციელონ აქციათა ღირებულების გადახდა ბანკის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების 1.10 პუნქტში აღნიშნული შეტყობინების აქციონერებისათვის გაგზავნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში

1.12 იმ შემთხვევაში, როდესაც დარჩენილი აქციები სრულად არ იქნება განთავსებული ბანკის აქციონერებს შორის, წინამდებარე გადაწყვეტილების 1.7 – 1.11 პუნქტებით დადგენილი ვადისა და წესის შესაბამისად, დირექტორატი უფლებამოსილია დარჩენილი აქციების განთავსება განახორციელოს 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერ პირებს შორის, რომლებიც გამოხატავენ მათი შეძენის სურვილს.

2. სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" წესდების 3.1 პუნქტში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.1 უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული ემისიის პროსპექტის საფუძველზე ფასიანი ქაღალდების რეესტრში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ შესაბამისი ცვლილების შეტანის დღიდან სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" წესდების 3.1 პუნქტი ჩაითვალოს შეცვლილად შემდეგი რედაქციით:

„3.1 ბანკის კაპიტალი დაყოფილია 191 292 701 (ას ოთხმოცდათერთმეტი მილიონ ორას ოთხმოცდათორმეტი ათას შვიდას ერთი) ჩვეულებრივ აქციად. თითოეული ნომინალური ღირებულებით – 1 (ერთი) ლარი."

აქციონერი

Смирнов Дмитрий Олегович

აქციონერის წარმომადგენელი

ნოტარიუსი

ნ. ჯანხოთელი

Решения Акционера АО «Банк ВТБ (Грузия)» - Банк ВТБ (ПАО) № 1

13 октября 2015 года акционер – владелец 96.808396 % акций в капитале АО «Банк ВТБ (Грузия)» (идентификационный код 202906427) - Банк ВТБ (ПАО) (юридический адрес: 190000 город Санкт-Петербург, улица Большая морская, дом 29, ИНН 7702070139) – представленный в лице Смирнова Дмитрия Олеговича (05.07.1980 года рождения), принял решения по следующим вопросам повестки дня:

Вопрос 1. Об увеличении капитала АО «Банк ВТБ (Грузия)» путем выпуска дополнительных акций.
Решение:

1.1. С целью увеличения капитала АО «Банк ВТБ (Грузия)» осуществить выпуск 20 000 000 (двадцать миллионов) штук дополнительных обыкновенных акций АО «Банк ВТБ (Грузия)» на основании Проспекта эмиссии, утверждаемого уполномоченным государственным органом, по их номинальной стоимости –1 (один) грузинский лари каждая.

1.2. Поручить Директорату Банка в течение 3 (три) рабочих дней с даты настоящего решения подготовить соответствующий Проспект эмиссии и предоставить его для утверждения в уполномоченный государственный орган.

1.3. Преимущественное право на приобретение дополнительно выпускаемых акций Банка по их номинальной стоимости предоставляется существующим акционерам Банка пропорционально количеству акций Банка, принадлежащих им на дату утверждения Проспекта эмиссии.

1.4. Установить срок для реализации акционерами Банка своего преимущественного права на приобретение акций Банка дополнительного выпуска 10 (десять) календарных дней со дня опубликования Проспекта эмиссии. Утвержденный проспект эмиссии опубликовать (разместить) на сайте АО «Банк ВТБ (Грузия)» (**www.vtb.ge**) в течении одного рабочего дня с даты утверждения уполномоченным государственным органом Проспекта эмиссии.

1.5. Для осуществления акционерами Банка права на преимущественное приобретение акций Банка дополнительного выпуска, т.е. внесения соответствующих взносов в капитал, уполномочить Директорат Банка в течение 2 (два) рабочих дней, следующих за днем опубликования Проспекта эмиссии:

1.5.1 Направить акционерам Банка – владельцам более 1% капитала Банка письменное уведомление об утверждении Проспекта эмиссии. Такое уведомление должно содержать сведения об общем размере дополнительного выпуска акций Банка, размере доли акционера, дате окончания срока реализации акционерами своего преимущественного права на приобретение акций Банка дополнительного выпуска, предложение осуществить оплату акций дополнительного выпуска пропорционально доле акционера Банка в течение 10 (десять) календарных дней со дня опубликования Проспекта эмиссии и реквизиты для осуществления такого платежа, а также информацию о порядке ознакомления акционеров с Проспектом эмиссии и адрес, по которому с ним можно ознакомиться.

1.5.2 Опубликовать сообщение в ЮЛПП «Сакартвелос Саканонмдебло Мацне», содержащее: сведения об утверждении Проспекта эмиссии, общем размере дополнительного выпуска акций Банка, дате окончания срока реализации акционерами своего преимущественного права на приобретение акций Банка дополнительного выпуска, предложение осуществить оплату акций дополнительного выпуска пропорционально доле акционера Банка в течение 10 (десять) календарных дней со дня опубликования Проспекта эмиссии, реквизиты для осуществления такого платежа, а также

информацию о порядке ознакомления акционеров с Проспектом эмиссии и адрес, по которому с ним можно ознакомиться.

1.6 Установить следующую форму оплаты акционерами Банка размещаемых акций: оплата производится денежными средствами путем безналичного перечисления в грузинских лари - JSC VTB Bank (Georgia) SWIFT: UGEBGE22 IBAN: GE17VT0100000009444501.

1.7 В случае не внесения взносов в капитал акционерами Банка, обладающими правом на преимущественное приобретение акций, такие акционеры считаются отказавшимися от реализации преимущественного права на приобретение дополнительно выпускаемых акций Банка. Право на приобретение нераспределенных (неоплаченных) акций (далее – Оставшиеся акции) по их номинальной стоимости предоставляется акционерам Банка, которые в течение 10 (десять) календарных дней со дня опубликования Проспекта эмиссии осуществили взносы в капитал Банка (далее - «реализовали в установленный срок преимущественное право»).

Акционеры Банка, которые реализовали в установленный срок преимущественное право, имеют право полностью приобрести Оставшиеся акции в количестве, пропорциональном количеству принадлежащих им акций в капитале Банка без учета акций акционеров Банка, отказавшихся от реализации преимущественного права приобретения дополнительно выпускаемых акций.

Если кто-либо из акционеров Банка, реализовавших в установленный срок преимущественное право, выражает свое согласие приобрести Оставшиеся акции в количестве меньшем, чем ему причитается в общем количестве Оставшихся акций, право на приобретении акций в большем количестве, имеют акционеры, выразившие желание приобрести Оставшиеся акции.

В случае если все акционеры, которые реализовали в установленный срок преимущественное право, за исключением одного, не выразили согласия на приобретение Оставшихся акций, право на приобретении всех оставшихся акции имеет акционер, выразивший свое согласие приобрести Оставшиеся акции.

1.8 Уполномочить Директорат Банка в течение 2 (два) рабочих дней со дня истечения срока для использования акционерами преимущественного права на приобретение акций Банка дополнительного выпуска, направить тем акционерам Банка, которые реализовали в установленный срок преимущественное право, письменное предложение принять участие в приобретении Оставшихся акций Банка с указанием количества Оставшихся акций Банка и срока для приобретения Оставшихся акций.

1.9 Заявки от акционеров Банка, которые реализовали в установленный срок преимущественное право и осуществили взносы в капитал Банка, могут быть направлены в Банк по почте, нарочным, электронной почте или факсимильной связью в течение 3 (три) рабочих дней со дня направления Банком письменного предложения о приобретении Оставшихся акций Банка (не позднее 18:00 по Тбилисскому времени последнего дня указанного срока).

1.10 Директорат Банка в течение 2 (два) рабочих дней со дня истечения срока установленного для направления заявок на участие в приобретении Оставшихся акций, подводит итоги полученных заявок и направляет в адрес акционеров Банка, которые реализовали в установленный срок преимущественное право и подали в Банк заявки на участие в приобретении Оставшихся акций, уведомление с указанием количества акций, которые могут быть реализованы таким акционерам. Уведомление направляется Директоратом Банка акционерам по почте, нарочным, электронной почте или факсимильной связью.

1.11 Акционеры Банка, реализовавшие в установленный срок преимущественное право, и желающие приобрести Оставшиеся акции Банка, имеют право осуществить их оплату в течение 10 (десять) календарных дней со дня направления Банком акционерам уведомления, указанного в пункте 1.10. настоящего решения.

1.12 В случае если Оставшиеся акции не будут полностью размещены среди акционеров Банка в срок и в порядке согласно пунктам 1.7. -1.11. настоящего решения, Директорат Банка уполномочен в

течение 4 (четыре) рабочих дней осуществить размещение Оставшихся акций среди любых лиц, выразивших на это желание.

Вопрос 2. О внесении изменения в пункт 3.1 Устава АО «Банк ВТБ (Грузия)».

Решение:

2.1 Со дня внесения регистратором ценных бумаг соответствующих изменений в реестр ценных бумаг на основании утвержденного уполномоченным государственным органом Проспекта эмиссии, считать пункт 3.1 Устава АО «Банк ВТБ (Грузия)» измененным и изложенным в следующей редакции:

«3.1. Капитал банка разделен на 191 292 701 (Сто девяносто один миллион двести девяносто две тысячи семьсот один) обыкновенную акцию номинальной стоимостью 1 (один) грузинский лари каждая».

Акционер **Представитель акционера**

Смирнов Дмитрий Олегович

Нотариус **Наргиза Джанхотели**

საქართველო

სანოტარო აქტი

ქ. თბილისი, ორი ათას თხუთმეტი წლის ცამეტი ოქტომბერი.

მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N18, 2015 წლის 13 ოქტომბერს დავესწარი სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 202906427) კაპიტალში აქციათა 96.808396 %–ის მფლობელი აქციონერის – სსს „ბანკ ვეტებეს“ (იურიდიული მისამართი: 190000 ქალაქი სანქტ–პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაიას ქუჩა, სახლი 29, გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი: 7702070139) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურას და შევადგინე წინამდებარე გადაწყვეტილება. სსს „ბანკი ვეტებე“ წარმოდგენილი იყო დიმიტრი ოლეგის ძე სმირნოვის (დაბადებული 05.07.1980 წელს, მცხოვრები რფ, მოსკოვის ოლქი, ქალაქი ოდინცოვო, მარშალ ჟუკოვის ქუჩა, სახლი 2, ბინა 31, პასპორტი 75 1465357, გაცემული 22.05.2015 წელს) სახით, მინდობილობის საფუძველზე, რომლის რეკვიზიტებია: N350000/2339–დ, რეესტრში რეგისტრაციის N 2–3542, თარიღი 09.10.2015 წელი, დამოწმებული ქალაქ მოსკოვის ნოტარიუსის – რ.ვ.რიაბოვის მიერ. დიმიტრი ოლეგის ძე სმირნოვი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები. აქციონერის მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. № 14. გადაწყვეტილების მიღების პროცედურა დაიწყო 10.40 სთ–ზე და დამთავრდა 11.30 სთ–ზე. გადაწყვეტილება შედგენილია, დარეგისტრირებულია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში და გაცემულია იმავე დღეს.

გადახდილია სანოტარო საზღაური“სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის N507 დადგენილების 21–ე მუხლის თანახმად 250 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის169–ე მუხლის თანახმად 45 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთ მითითებული დადგენილების 39–ე მუხლის თანახმად 2 ლარი სულ 297 ლარი.

ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი

Грузия

Нотариальный акт

Город Тбилиси, тринадцатое октября две тысячи пятнадцатого года.

Я, нотариус Наргиза Джанхотели, бюро которой расположено по адресу г.Тбилиси, проспект Руставели №18, тринадцатого октября две тысячи пятнадцатого года присутствовала при процедуре принятия решения Банк ВТБ (ПАО) (юридический адрес: 190000 город Санкт-Петербург, улица Большая Морская, дом 29, ИНН 7702070139) – акционером владельцем 96.808396% акции в капитале АО «Банк ВТБ (Грузия)» (идентификационный код 202906427) и составила данное решение. Банк ВТБ (ПАО) был представлен в лице Сминнова Дмитрия Олеговича (05.07.1980 года рождения, проживающий по адресу: РФ, Московская Область, город Одинцово, улица М.Жукова, дом № 2, квартира № 31, паспорт гражданина РФ 75 1465357, выдан 22.05.2015 года) на основании доверенности № 350000/2339-Д, регистрационный № 2-3542, дата 09.10.2015 года, заверенная нотариусом г.Москвы Рябовым Р.В. Смирнов Дмитрий Олегович уполномочен принимать решения. Принятие акционером решения состоялось по адресу: г.Тбилиси, ул.Чантурия №14. Процедура принятия решения началась в 10.45 ч. и закончилась в 11.30 ч. Решение составлено, зарегистрировано в электронном нотариальном реестре в тот же день.

Уплачена нотариальная пошлина в соответствии со ст.21 постановления Правительства Грузии № 507 от 29.12.2011 года «О пошлинах за совершение нотариального действия, размере установленных для Нотариальной Палаты Грузии налогов, порядке их взыскания и утверждении сроков обслуживания» 250 лари, НДС в соответствии со ст. 169 налогового кодекса Грузии 45 лари, а также 2 лари регистрационный сбор в соответствии со ст. 39 вышеуказанного постановления, всего 297 лари.

Нотариус Джанхотели Н.